

EMC ეხმიანება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოქვეყნებულ პასუხს ნამახვანჭესის პროექტის შეფასებასთან დაკავშირებით

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (შემდგომში - „ეკონომიკის სამინისტრო“, „სამინისტრო“) გამოაქვეყნა წერილობითი [პასუხი](#) EMC-ის მიერ ნამახვანჭესის თაობაზე მთავრობასა და შპს „ენკა რინიუებლზ“-ს (შემდგომში - „კომპანია“) შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით 3 მარტს, გავრცელებულ განცხადებაზე. ხელშეკრულების გაფორმებიდან თითქმის 2 წლის შემდეგ, სამინისტროს მხრიდან, მხოლოდ EMC-ის მიერ მომზადებული შეფასების საპასუხოდ, გაკეთებული განმარტებები ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტის პირობებთან დაკავშირებით შეიცავს უსაფუძვლო და მანიპულაციურ მსჯელობებს, არ პასუხობს სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებასთან კომუნიკაციის მინიმალურ სტანდარტს, სრულად თავს არიდებს ორგანიზაციის მიერ დასმულ არაერთ მწვავე საკითხს და ვერ ანეიტრალებს ხელშეკრულების პირობებთან მიმართებით არსებულ კრიტიკას.

სამინისტროს პასუხში ნათქვამია, რომ EMC-ის პუბლიკაცია ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ პროფესიულ სტანდარტებს და რომ იგი „პრაქტიკულად არ შეიცავს სახელმწიფოებო მუხლებზე კონკრეტულ მითითებებს, რაც ბუნებრივია მკითხველთა უმრავლესობისათვის პუბლიკაციაში მოყვანილი ინფორმაციის გადამოწმებას შეუძლებელს ხდის.“

სამინისტროს განცხადებაზე პასუხად, პირველ რიგში, უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს ვებ-გვერდზე 3 მარტს გამოქვეყნებული 5-გვერდიანი პუბლიკაცია აღწერს და აჯამებს იმ ძირითად მიგნებებსა და პრობლემურ საკითხებს, რომლებიც ხელშეკრულების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა. აღნიშნული ანალიზის შედეგები და ხელშეკრულების ვრცელი, 27-გვერდიანი შეფასება, რომელშიც ხელშეკრულების კონკრეტულ პუნქტებზე მითითებით დეტალურადაა დასაბუთებული EMC-ის განცხადებები და რომელში მოცემულ არგუმენტებსაც სამინისტრო არ პასუხობს, ხელმისაწვდომია ამ [ბმულზე](#).

წერილობით განმარტებაში საჯარო დაწესებულების მიერ გამოყენებული უკიდურესად პრობლემური საკომუნიკაციო ენის გარდა, განსაკუთრებით პრობლემურია ასეთი მნიშვნელობის პროექტებზე პასუხისმგებელი უწყების - ეკონომიკის სამინისტროს გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების მწვავე დეფიციტი. მიუხედავად გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულებისა და პროექტის ირგვლივ არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2019 წლის 25 აპრილიდან - დღემდე, სამინისტრომ „სახელმწიფო მნიშვნელობის“¹ პროექტზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობებზე ამგვარი განმარტება მხოლოდ ჩვენს განცხადებაზე პასუხად ჩათვალა საჭიროდ.

¹ ნამახვანჭესის ჰესების კასკადს სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტად თავად ხელშეკრულების ტექსტი აცხადებს, მე-5 დანართი, “გ” პუნქტი, გვ. 120.

უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამჭვირვალობა, უფრო ზუსტად კი, **საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის (როგორცაა ნამახვანი ჰესი) შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** ამ პროექტის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია.² სამინისტრო კი, კანონით განსაზღვრული პირდაპირი ვალდებულების შესრულების და ხელშეკრულების პროაქტიული გამოქვეყნების ნაცვლად, დიდი ხნის განმავლობაში არ ასაჯაროებდა ხელშეკრულებას და მისი შინაარსი მხოლოდ რამდენიმე კვირის წინ გამომძიებელ ჟურნალისტთა (ifact) ძალისხმევით გახდა ცნობილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს საპასუხო განცხადების ტონი და ენერგეტიკული პროექტებზე გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი შეფასების სირთულეზე ხაზგასმა იმაზე მეტყველებს, რომ სამინისტროს აზრით, ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ ვიწრო ჯგუფის შეფასების, მსჯელობის და გადაწყვეტილების საგანი შეიძლება იყოს, ხოლო საზოგადოების სხვა ნაწილს შესაბამისი კომპეტენცია და ცოდნა არ გააჩნიათ (მაგალითად, ტექსტში ნათქვამია: „იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა წაიკითხოს და გაიგოს ენერგეტიკის სფეროში დადებული ხელშეკრულების შინაარსი, მას წარმოდგენა უნდა ჰქონდეს მთელ რიგ საკითხებზე“, რასაც ამ საკითხების ახსნა მოჰყვება). თუმცა, ადგილობრივებთან მინისტრების შეხვედრამაც აჩვენა, რომ მოსახლეობას გამორჩეული სიზუსტით და სიღრმით ესმის პროექტთან დაკავშირებული ასპექტები. სამინისტროს პასუხი, რომელიც აჩვენებს მათი საზოგადოებასთან მუშაობის პრინციპებს, მიდგომებსა და დამოკიდებულებებს, ხაზს უსვამს, რამდენად ბუნდოვანია სამინისტროსთვის მნიშვნელოვან პროექტზე გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის საზოგადოებისთვის განმარტების მიზანი და ფორმა.

აქვე გვინდა გამოვხმაუროთ სამინისტროს მსჯელობას, როდესაც ის „სენსიტიურ თემაზე“ აპელირებს, რაც სავარაუდოდ მიანიშნებს ნამახვანი ჰესის ინვესტორის წარმომადგომლობასთან დაკავშირებით საზოგადოების ნაწილში არსებულ უკმაყოფილებაზე. ზოგადად, მიგვაჩნია, რომ საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებში წარმოქმნილ ქსენოფობიურ განწყობებთან ინფორმაციის დამალვით და დახურულობით ბრძოლა აბსოლუტურად გაუმართლებელი და, რაც მთავარია, არაეფექტურია; სახელმწიფო თავისი ქმედებებით, როდესაც ის ადგილობრივების სამართლიან და დემოკრატიულად ორგანიზებულ წუხილებს დროულ და ადეკვატურ პასუხს არ ახვედრებს და მათ პრაქტიკულად ბოლო დრომდე კომპანიის პირისპირ ტოვებს (ან უარეს შემთხვევაში საპოლიციო ძალით ცდილობს ლეგიტიმური და სამართლიანი პროტესტის ჩახშობას), ნაცვლად იმისა, რომ პროცესში სახელმწიფოს როლი იკისროს, მხოლოდ ხელს უწყობს სოციალური უსამართლობით გამოწვეული ბრაზის დაგროვებას, რომელიც შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში, არასწორი ადრესატისკენ იყოს მიმართული.

EMC ემიჯნება პროექტის ირგვლივ საზოგადოების ნაწილში შექმნილ ქსენოფობიურ განწყობებს. მიგვაჩნია, რომ პროექტთან დაკავშირებით რელევანტურია არა ინვესტორის წარმომადგომლობა, არამედ ის, თუ როგორ მოამზადა, დაგეგმა და განხორციელა სახელმწიფომ პროექტი და უზრუნველყო თუ არა მან ინვესტორის მიერ საკანონმდებლო

² „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5, <http://bit.ly/3qh5sig>.

მოთხოვნების შესრულება, პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის სათანადო შეფასება და შესაბამისი დემოკრატიული პროცესის უზრუნველყოფა. ამავდროულად, მიგვაჩნია, რომ პროტესტის ორგანიზატორები და ნამახვანი ჰესის მოწინააღმდეგე მოსახლეობის დიდი ნაწილიც სწორედ პროექტის განხორციელების პროცესში არსებულ დასახელებულ ჩავარდნებს აპროტესტებს.

და ბოლოს, ჩვენს შეფასებაზე სამინისტროს საკმაოდ არაკონსტრუქციული და დაუსაბუთებელი პასუხის მიუხედავად, EMC მიესალმება სამინისტროს გამოხმაურებას, რადგან სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები ენერგეტიკული საინვესტიციო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე და შესაძლო გადაცდომებზე დიდი ხანია საუბრობენ, თუმცა ეკონომიკის სამინისტრო, ამ კრიტიკას, როგორც წესი, არ პასუხობდა. ამდენად, ვინაიდან პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით, მის განხორციელებასთან დაკავშირებულ ასპექტებზე საჯარო დისკუსია ფუნდამენტურად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სამინისტროს გამოხმაურებას, როგორც არ უნდა იყოს ის, ვიყენებთ შესაძლებლობად, გავაგრძელოთ ფაქტებზე და კონკრეტულ არგუმენტებზე დაფუძნებული მსჯელობა ნამახვანი ჰესის ხელშეკრულების ირგვლივ არსებულ საკვანძო საკითხებზე. სწორედ ამიტომ, ვკონცენტრირდებით განცხადების შინაარსობრივ ნაწილზე და პუნქტობრივად გთავაზობთ პასუხებს სამინისტროს განცხადებაზე:

1. ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ტარიფი

ნამახვანი ჰესის პროექტი საჯარო და და კერძო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება, რაც ნიშნავს იმას, რომ პროექტი ითვალისწინებს საჯარო მხარდაჭერის კონკრეტულ ფორმებს, მათ შორის, ელექტროენერგიის გარანტირებულად შესყიდვას (PPA) სახელმწიფოს მხრიდან. კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაასაბუთოს, თუ რატომ იყენებს კონკრეტული მხარდაჭერის ფორმას და იმგვარად, როგორც ეს ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. სამინისტროს, არც აქამდე და არც EMC-ის შეფასებაზე პასუხად, არ წარმოუდგენია კონკრეტულ რიცხვებზე და გათვლებზე დამყარებული არგუმენტები, რომლებიც ხელშეკრულებით განსაზღვრულ გარანტირებულ ტარიფს დაასაბუთებდა და უპასუხებდა მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებულ შეფასებას, რომელიც ცხადად უთითებს ნამახვანი ჰესის პროექტში განსაზღვრული გარანტირებული შესყიდვის ტარიფით გამოწვეული ფისკალური ხარჯების თაობაზე.³

სახელმწიფოს მიერ კომპანიისგან ელექტროენერგიის გარანტირებულად შესყიდვის ვალდებულების აღებისას, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს, რა პრინციპით ხდება გარანტირებული შესასყიდი ტარიფის განსაზღვრა, რატომ ითვალისწინებს ხელშეკრულება კონკრეტულ რიცხვს და რა გაანგარიშებას ეფუძნება ეს ღირებულება.

აღნიშნული ინფორმაცია, სამწუხაროდ, საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. EMC-ის ვრცელ შეფასებაში კომპანიის შერჩევის პროცესთან - ინტერესთა გამოხატვასთან -

³ იხ., The World Bank, Assessment of Fiscal Costs and Tariff Impacts of Power Purchase Agreements, February 22, 2018; <https://bit.ly/3sODH2b>.

დაკავშირებით, რომელიც „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ (GEDF) ჩაატარა, აღვნიშნავთ, რომ „GEDF-ის ხელმძღვანელობა თავს ადმინისტრაციული კანონმდებლობით შეზოგადდა არ თვლიდა და მიუთითებდა, რომ „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ სააქციო საზოგადოებაა და მას ნამახვანი ჰესზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არ ჰქონდა.⁴ შესაბამისად, ფონდის გადაწყვეტილებით, კონფიდენციალურად დარჩებოდა გამარჯვებულის შერჩევის კრიტერიუმები, ინტერესთა გამოხატვის მონაწილეთა წინადადებები და შესარჩევი კომისიის წევრების ვინაობა.⁵

დამატებით, PPA-ს ტარიფის გამოთვლის, მასთან დაკავშირებულ ფისკალურ ხარჯებსა თუ სამომხმარებლო ტარიფზე მისი გავლენების შესახებ სახელმწიფომ დეტალური ინფორმაცია და ფინანსური დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს; აღნიშნულში კი ვგულისხმობთ არა ჩვენს განცხადებაზე პასუხად წარმოდგენილ გაანგარიშებებს, რომლებიც მანიპულაციურია და მთავარ შეკითხვას პასუხგაუცემლად ტოვებს, არამედ გარანტირებული შესყიდვის ტარიფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მომზადებულ ოფიციალურ დოკუმენტაციას, რომელსაც სამინისტრო გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დაყრდნობოდა.

ამასთან, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი კომპეტენციაა საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების პირველადი პროექტისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და უფლებამოსილი ორგანოსთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა; ამ თვალსაზრისით, აუცილებელია დამატებით გასაჯაროვდეს ფინანსთა სამინისტროს პოზიცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარანტირებული ტარიფიდან და მთავრობის სხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ფისკალური რისკების თაობაზე.

PPA-ს ტარიფთან დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული შეფასების თანახმად, ნამახვანი ჰესის პროექტით გათვალისწინებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება შექმნის დამატებით ფისკალურ ხარჯებს სახელმწიფოსთვის.⁶

2. ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანის შესაძლებლობა არა-PPA პერიოდში

სამინისტროს საკუთარ წერილში არ უარყვია, რომ კომპანია უფლებამოსილია ელექტროენერგია ექსპორტზე გაიტანოს არა-PPA პერიოდში, რითაც ადასტურებს შეთანხმების მიხედვით კომპანიისთვის გამომუშავებული ელექტროენერგიის განკარგვის სრული უფლების გადაცემას. თუმცა იმდენად, რამდენადაც სამინისტრო ვერ ასაბუთებს

⁴ Ifact, „Details of Namakhvani Dam Cascade Tender are confidential“, 2017 წლის 31 იანვარი; <https://ifact.ge/en/details-namakhvani-dam-cascade-tender-confidential/>.

⁵ ხაზგასმა თავდაპირველ ტექსტში არ არის.

⁶ ob., The World Bank, Assessment of Fiscal Costs and Tariff Impacts of Power Purchase Agreements, February 22, 2018, 8, <https://bit.ly/3sODH2b>.

თუ რატომ არ აქვს კომპანიას არსებული სახელშეკრულებო პირობებით ელექტროენერგიის შიდა მოხმარების ბაზარზე დატოვების ვალდებულება, ის ცდილობს ფოკუსი გადაიტანოს, ერთი მხრივ, იმ გარემოებაზე, რომ ენერგიის ექსპორტზე გასატანად კომპანიას აუქციონში მონაწილეობა მოუწევს, ხოლო, მეორე მხრივ, გადამცემი ქსელის სახელმწიფოს მიერ კონტროლზე. თუმცა, არც ერთი ეს გარემოება არ ცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კომპანიის უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს ენერგია არა-PPA პერიოდში. ასევე, სამინისტრო არ საუბრობს იმის შესახებ, რომ ამ უფლების დარღვევა წარმოშობს მთავრობის შესაბამის (ფინანსურ) პასუხისმგებლობას. მეტიც, საკუთარ წერილში სამინისტრო ბევრს საუბრობს საქართველოსა და თურქეთს შორის მთავრობათაშორისი ხელშეკრულებით და ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით განსაზღვრულ ვალდებულებებზე ელექტროენერგიის გადაცემის სფეროში, სადაც ასევე იკვეთება ელექტროგადამცემი ხაზების გაძლიერებისთვის საჭირო ვადების შეუსრულებლობის პრობლემა.

2.1. საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული „სათავრობათაშორისო ხელშეკრულება“ და ათწლიანი გეგმა

მცდარია სამინისტროს შეფასება, როდესაც ენერგიის ექსპორტთან დაკავშირებული პრობლემური საკითხის განხილვისას, ის ამბობს, რომ EMC-ის საკუთარ შეფასებაში უგულებელყოფილი აქვს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, ჯერ კიდევ 2012 წლის 20 იანვარს გაფორმებული „სათავრობათაშორისი ხელშეკრულება“ თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ელექტროენერგიის ტარნსპორტირებისთვის განსახორციელებელი სამუშაოების შესრულების შესახებ. სამინისტრომ ასევე სცადა იმის განმარტება, რომ გადამცემი ხაზების გაძლიერებასთან დაკავშირებით ქვეყანას აქვს ნაკისრი მხოლოდ პირობითი ვალდებულებები.

EMC ნამდვილად საუბრობს ხელშეკრულების მუხლზე 4.3.2. (c) პუნქტი, სადაც საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებაზეა საუბარი, კერძოდ კი აღნიშნული დებულების პერიფრაზი მოცემულია EMC-ის შეფასების მე-6 გვერდზე. ასევე EMC-ის შეფასების მე-6 გვერდზე ნათლადაა მითითებული, რომ „მთავრობა ვალდებულია, ყველა ღონე იხმაროს“ და არა „მთავრობა ვალდებულია“, რაც, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, სწორედ ის ფორმულირებაა, რომელიც ე.წ. „რბილ“ ვალდებულებას ასახავს და, ამასთან, ზუსტად იმეორებს ხელშეკრულების ჩანაწერს.

რაც შეეხება საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმას, სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით განსახორციელებელი სამუშაოების გათვალისწინებით (დამატებითი ელ.გადამცემი ხაზები ბათუმი-მურატლი 154 კვ ეგზ და ახალციხე-თორთუმი 400 კვ ეგზ), 2030 წლიდან, დიდი ალბათობით, შესაძლებელი იქნება საქართველოს ენერგოსისტემიდან თურქეთის ენერგოსისტემაში ჯამურად 1400 მგვტ სიმძლავრის ტრანსპორტირება. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ხელშეკრულების თანახმად, მთავრობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა თურქეთის მიმართულების გადამცემი ხაზის სიმძლავრე 1400 მგვტ.-მდე გაიზარდოს 2022 წლის 1 იანვრამდე, სამინისტრო კი აღნიშნავს, რომ ეს სიმძლავრე უზრუნველყოფილი იქნება 2030 წლამდე და ისიც არა დაზუსტებით, არამედ დიდი ალბათობით, რაც აჩვენებს, რომ 2022 წლამდე სიმძლავრის

მითითებულ ნიშნულამდე გაზრდის ალბათობა ძალიან მცირეა და შესაბამისად, ხელშეკრულების ჩანაწერი, რომელიც 2022 წლამდე სიმძლავრის 1400 მგვტ.-მდე გაზრდაზე საუბრობს საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის შესაბამისი არ არის (ხელშეკრულების გაფორმების დროს მოქმედი გეგმის მიხედვით ბათუმი-მურატლის გადამცემი ხაზის დასრულების დროდ 2025 წელი იყო განსაზღვრული⁷). ამასთან, ელექტროგადამცემი ხაზების პროექტების, მათ შორის, სამინისტროს განცხადებაში მითითებული ბათუმი-მურატლის და ახალციხე-თორთუმის ხაზების გადავადების სიხშირის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,⁸ სამწუხაროდ, ათწლიანი გეგმით გათვალისწინებული ვადის გადადება უფრო ალბათურია, ვიდრე დროულად დასრულება.

შესაბამისად, სამინისტროს პასუხი მთავრობის მიერ თურქეთის მიმართულებით ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ვალდებულების („გამოიყენოს ყველა ღონე“ სტანდარტით) ალების პრობლემატურობას კიდევ უფრო გამოკვეთს, ვინაიდან, ამ ვალდებულების ვადაში შესრულებას, სახელმწიფო, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს.

2.2. მსჯელობა ექსპორტისთვის საჭირო აუქციონისა და ელექტროგადამცემი ქსელის სახელმწიფოს მიერ კონტროლის შესახებ

ნამახვანჭესზე გამომუშავებული ელექტროენერგიის შიდა მოხმარების ბაზარზე დატოვების ვალდებულების არარსებობის შესახებ (არა-PPA პერიოდში) EMC ის შეფასების პასუხად, სამინისტრო საკუთარ წერილში მსჯელობას ავითარებს აუქციონის პირობებისა და ენერგიის გადაცემისთვის და, შესაბამისად, ექსპორტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის კონტროლის შესაძლებლობების შესახებ. თუმცა, აღნიშნულს არანაირი საერთო არ აქვს მთავრობის პოლიტიკასთან, იზრუნოს „სტრატეგიული“ ობიექტის მიერ გამომუშავებული ენერგიის ქვეყნის შიდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოყენებაზე.

შესაბამისად, სამინისტროს არგუმენტები, მათ შორის, ექსპორტისას კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის და გადამცემი ქსელის სახელმწიფოს მიერ კონტროლის შესახებ, პასუხს არ სცემს შეკითხვას, რატომ არ აქვს კომპანიას ელექტროენერგიის საქართველოს შიდა ბაზარზე რეალიზების ვალდებულება არა-PPA პერიოდში.

სამინისტრო წერილში მსჯელობს იმის შესახებ, რომ კომპანიას არ აქვს ექსპორტზე დაშვების გარანტირებული პირობა და მან მონაწილეობა უნდა მიიღოს შესაბამის აუქციონში. EMC-ისთვის კი მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია უფლებამოსილია, არა-PPA პერიოდში, თავისუფლად განკარგოს სადგურის მიერ გამომუშავებული ენერგია, საქართველოს ბაზარზე ნებისმიერ მყიდველზე რეალიზაციით ან ექსპორტზე გატანის გზით. ამ მუხლიდან ნათელია, რომ მთავრობა კომპანიას ანიჭებს უფლებას ელექტროენერგია გაიტანას ექსპორტზე, ხოლო თავისთავად აუქციონის პირობების არსებობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო კომპანიას ხელშეკრულებით უკვე განსაზღვრულ უფლებას შეუზღუდავს (აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, კომპანია განახორციელებს ექსპორტს); გარდა

⁷ საქართველოს გადამცემი ხაზის განვითარების ათწლიანი გეგმა (2019-2029), გვ. 154; <https://bit.ly/30jiG3i>.

⁸ იხილეთ, საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის სხვადასხვა წლის რედაქციები, რომელთა მიხედვითაც არაერთხელ შეიცვალა აღნიშნული ხაზების ექსპლუატაციაში შესვლის დრო, ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/3blXX5k>.

ამისა, მაშინ, როცა ნამახვანი ჰესის სარგებლიანობის დასაბუთებისას ხელისუფლება, მათ შორის, ქვეყნის ენერგეტიკული თვითკმარობის ზრდაში პროექტის წვლილზე მიუთითებს, გაუგებარია, რატომ არ იქნა გათვალისწინებული ქვეყნის შიდა მოთხოვნის პრიორიტეტულად დაკმაყოფილების ინტერესი ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე.

სამინისტრო ასევე აღნიშნავს, რომ ვინაიდან ელექტროგადამცემი ქსელი მთლიანად სახელმწიფო კომპანიის (სსე) ხელშია, „ქვეყნის ენერგოსისტემა მთლიანად ექვემდებარება სტრატეგიულ კონტროლს და ემსახურება პირველ რიგში ქვეყნის შიდა მოთხოვნასა და საჭიროებებს.“ ვფიქრობთ, ელექტროგადამცემი ქსელის სახელმწიფოს მიერ კონტროლი ვერანაირად ვერ აბათილებს ნამახვანი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანის უფლების კომპანიისთვის მინიჭების პრობლემურობის არგუმენტს. აქ საუბარია არა იმაზე, თუ ფაქტობრივად რას მოიმოქმედებს სახელმწიფო და, მაგალითად, უბრალოდ არ გაატარებს სადგურის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას შესაბამის ქსელში (მათ შორის, ხელშეკრულების დარღვევით), არამედ იმაზე, თუ რისი უფლება გადასცა სახელმწიფომ კომპანიას. კომპანიას სრული უფლება აქვს, ნამახვანი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია გაიტანოს ექსპორტზე არა-PPA პერიოდში, ხოლო კომპანიის ამ უფლების დარღვევა წარმოშობს მთავრობის შესაბამის პასუხისმგებლობას (რომელიც შეიძლება მოიცავდეს ფინანსურ პასუხისმგებლობასაც), მათ შორის, საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით.

3. მიწის რესურსი

მიუხედავად სამინისტროს მცდელობისა, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ინფორმაციის მიწოდებით არასრული შთაბეჭდილება შეექმნა ხელშეკრულების შინაარსზე (მაგ., იმის შესახებ, რომ „საჭირო მიწები“ ამომწურავადაა ჩამოთვლილი დანართში), ნათელია, რომ ხელშეკრულებაში ტერმინი „საჭირო მიწა“ განმარტებულია მეტისმეტად ფართოდ და მოიცავს იმ ნაკვეთებს, რომლებიც საჭიროა არა მხოლოდ მშენებლობისთვის, არამედ ბუნებრივი რესურსების (მათ შორის, ქვიშა-ხრეში) მოსაპოვებლადაც რიონის ხეობის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე. საჭირო მიწის „საჭიროებას“ კი ადგენს კომპანია და ამ დადგენისას მხოლოდ გონივრულობის უზოგადესი სტანდარტითაა შეზღუდული. ასევე სამინისტროს განცხადებასში ნათქვამია, რომ ოფიციალურ აქტს მიწის გადაცემის შესახებ აუცილებლად გამოსცემს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანო, მაგრამ ხელშეკრულებით მთავრობა უკვე „ვალდებულია გადასაცეს“ საჭირო მიწები ხსენებული ტერიტორიის ფარგლებში.

სამინისტრო თავის პასუხში მიუთითებს, რომ ხელშეკრულებაში მოცემული ტერმინი „მიწასთან დაკავშირებული უფლებები“ „აზუსტებს, რომ საპროექტო მიწები მოიცავს იმ მიწის ნაკვეთებს, რომლების ასახულია დანართში N1 (მდებარეობა).“

სამინისტროს მიერ მოყვანილი ტერმინის („მიწასთან დაკავშირებული უფლებები“) განმარტებაში სიტყვა-სიტყვით ვკითხულობთ შემდეგს: „მიწასთან დაკავშირებული უფლებები ნიშნავს იმ ნებისმიერ ნაკვეთთან (დანართ #1-ში მითითებული მიწის ნაკვეთების ჩათვლით) დაკავშირებულ უფლებებს...“. ხელშეკრულების ეს ფორმულირება კი ნიშნავს, რომ საჭირო მიწები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება

პირველ დანართში მოცემული ნაკვეთებით (EMC-ის შეფასების გამოქვეყნების შემდეგ, სამინისტროს ვებ-გვერდზე, გამოქვეყნებულ ხელშეკრულების ინგლისურენოვან ვერსიაში გამოყენებულია „including but not limited to” ფორმულირება), რისი დაზუსტებაც სამინისტრომ თავის პასუხში საჭიროდ არ ჩათვალა და არასრული ინფორმაციის მოწოდებით შეეცადა საკითხის ისე წარმოჩენას, თითქოს საჭირო მიწები მხოლოდ პირველ დანართში მოცემულ ნაკვეთებით შემოიფარგლებოდა.

ამასთან, სამინისტრო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების 3.2.6 მუხლის მიხედვით, კომპანია ვალდებულია თითოეულ ჯერზე, როდესაც იგი მოითხოვს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწების გადაცემას, შესაბამისი საჭიროება დაასაბუთოს წარდგენილი დეტალური განმარტებებისა და ე.წ. შეიფ ფაილების საფუძველზე. მოხმობილ 3.2.6 მუხლში, საერთოდ არაფერია ნათქვამი მიწის გადაცემის საჭიროების დეტალური განმარტებებით დასაბუთებაზე. სამინისტროს მიერ მითითებული „შეიფ-ფაილები“ კი, ხელშეკრულების ქართულენოვანი ვერსიის მიხედვით, წარმოადგენს ამ მიწების „დეტალურ განმარტებას“. ამ კონტექსტში და ასევე, „შეიფ ფაილების“ რაობაზე დაყრდნობით, ცალსახად უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული „დეტალური განმარტება“, რა თქმა უნდა, მიწის კონკრეტული მდებარეობის განმარტებაა და არა მიწის საჭიროების რამე ფორმით დასაბუთება, რასაც უკვე ცალსახად ადასტურებს სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ხელშეკრულების ინგლისურენოვან ტექსტში გამოყენებული ტერმინი “detailed description” და აჩვენებს, რომ აქ მართლაც მიწის ნაკვეთების აღწერა იგულისხმება და არა „საჭიროების განმარტება“, როგორც ამის წარმოჩენას სამინისტრო ცდილობდა არაზუსტი თარგმანის („დეტალური განმარტება“) საფუძველზე.

ამასთან, სამინისტროს განცხადების მიხედვით, აღნიშნული „დასაბუთების“ წარდგენის შემდეგ, საბოლოო გადაწყვეტილებას მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე იღებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო. უნდა აღინიშნოს, რომ, რა თქმა უნდა, ოფიციალური აქტი მიწის გადაცემის შესახებ უნდა გამოიცეს, მაგრამ ხელშეკრულებით კომპანიას მთავრობის მიერ უკვე აქვს გადაცემული უფლება მიიღოს ეს მიწები. რადგან სახელმწიფო მიწებთან მიმართებით მოცემულია ცალსახა ფორმულირება, რომ მთავრობა „ვალდებულია გადასცეს“.

აქვე, სამინისტროს განცხადებაში მოცემულ ცნობასთან დაკავშირებით, რომ ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან ინვესტორის გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, შევნიშნავთ, რომ EMC-ის არც ერთ შეფასებაში არაფერია ნათქვამი ინვესტორის ქონების გადასახადისგან გათავისუფლების თაობაზე.

4. წყლის რესურსი

სამინისტროს საპასუხო განცხადებაში არ არის უარყოფილი EMC-ის კვლევაში განმარტებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანიას უფლება აქვს გამოიყენოს არა მხოლოდ რიონის და მისი შენაკადების, არამედ ასევე მდინარე ცხენისწყალის წყლის რესურსიც. ამასთან, წერილში არ მომხდარა იმის უარყოფა, რომ სახელმწიფოს დასაქირდება დამატებითი საბიუჯეტო დანახარჯების გაწევა იმისთვის, რომ ჰქვას საკმარისი ჰიდრორესურსი ჰქონდეს მაქსიმალური გამომუშავების მისაღწევად სხვა მდინარის

დახმარებით. სამინისტროს საპასუხო განცხადებაში მხოლოდ განმარტებულია, „თუ რა ფორმით არის შესაძლებელი მდინარე ცხენისწყლის რესურსის ათვისება ნამახვანი ჰესის მიერ.“

ამ განმარტებასთან დაკავშირებით კი სამინისტრო შენიშნავს, რომ ეს „ინფორმაცია დეტალურადაა აღწერილი ხელშეკრულების 3.2.13 პუნქტში, აღნიშნულის მიუხედავად EMC ნეგატიურ კონტექსტში წარმოადგენს ხსენებულ საკითხს.“ სამინისტროს მიერ მითითებულ პუნქტში ცხენისწყლიდან წყლის მიწოდებას მხოლოდ ერთი დებულება შეეხება, რომელიც ნამდვილად არ აღწერს სამინისტროს პასუხში მოყვანილ ვრცელ ინფორმაციას. თუმცა, ასეც რომ ყოფილიყო, ხელშეკრულებაში დეტალური ჩანაწერი იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი მდინარე ცხენისწყლის რესურსის ათვისება ნამახვანი ჰესის მიერ, რა თქმა უნდა, არ ცვლის იმ რეალობას, რომ კომპანიას რიონთან ერთად, ცხენისწყლის რესურსის გამოყენების უფლებაც აქვს, რაზეც EMC თავის შეფასებაში მიუთითებდა.

რაც შეეხება ნეგატიურ კონტექსტს, ხელშეკრულების გამოქვეყნებამდე, ფართო საზოგადოებაში არსებობდა დაშვება, რომ პროექტი გულისხმობდა მდინარე რიონის გამოყენებას. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც ქვეყნის ჰიდროლოგიური რესურსების ათვისებაა და რომელიც კომპანიის კიდეც ერთ უფლებას, გამოიყენოს მდინარე ცხენისწყლის რესურსიც, და მთავრობის კიდეც ერთ ვალდებულებას, უზრუნველყოს ამ რესურსის მიწოდება, მოიაზრებს, EMC-ის შეფასებაში მოხვდა, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, იმის შეფასებისას, თუ რამდენადაა დაბალანსებული მხარეთა ინტერესები ნამახვანის ხელშეკრულებით.

5. ბუნებრივი რესურსები

კომპანია უფლებამოსილია, შესაბამისი დასაბუთებით, ნებისმიერი ბუნებრივი რესურსი მოიპოვოს ლიცენზიის გარეშე. ასევე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კომპანიას შეუძლია, თავის სარგებლობა/საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე მოჭრას ხე-ტყე.

EMC-ის შეფასებაში არსადაა ნათქვამი, რომ ეს პრაქტიკა უკანონოა, მხოლოდ მივუთითეთ, რომ ეს კიდეც ერთი „პრივილეგიაა“, რომელსაც სახელმწიფო გადასცემს კომპანიას და, რომელიც, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც სახელმწიფოსა და კომპანიის ინტერესებს შორის ბალანსის განსაზღვრისას უნდა იყოს მხედველობაში მიღებული.

6. სამართლის და გადასახადების ცვლილება

EMC ვერ გაიზიარებს სამინისტროს განცხადებაში მოცემულ მტკიცებას, რომ ვინაიდან საქართველომ ასოცირების შეთანხმების კანონმდებლობის დაახლოების ვალდებულება ნამახვანის ხელშეკრულების გაფორმებამდე იკისრა, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები სამართლის ცვლილებად არ ჩაითვლება, რამდენადაც ხელშეკრულების შინაარსი საპირისპიროს ამტკიცებს.

სამართლის და გადასახადების ცვლილებასთან დაკავშირებით სამინისტროს განცხადება, სადაც ის ასაბუთებს, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების გამო განხორციელებული ცვლილებები ხელშეკრულების მიზნებისთვის „კანონმდებლობის ცვლილებად“ არ ჩაითვლება, კიდევ ერთი შემთხვევაა, როდესაც სამინისტროს მტკიცებას ზურგს არ უმაგრებს ხელშეკრულების ტექსტი; მეტიც, ხელშეკრულების ტექსტი მიუთითებს სამინისტროს განცხადების საპირისპიროზე.

სამინისტროს მსჯელობის მცდარობის საილუსტრაციოდ მოგვყავს თავად „კანონმდებლობის ცვლილების“ სახელშეკრულებო განმარტება: „კანონმდებლობის ცვლილება ნიშნავს საქართველოს ნებისმიერი აქტის მიღებას, პრომულგაციას, ძალაში შესვლას, გაუქმებას ან ახლიდან ამოქმედებას, ცვლილებას, შეფარდების ან ინტერპრეტაციის ცვლილებას (საგადასახადო რეჟიმის, „ქსელის კოდექსის“ და „ბაზრის წესების ჩათვლით“), თითოეულ შემთხვევაში თუ ეს მოხდება „ხელშეკრულების“ თარიღის შემდგომ.“

ამ ტერმინის განმარტებიდან ნათელია, რომ იმისდა მიუხედავად, თუ როდის დგისრა ცვლილების განხორციელების ვალდებულება სახელმწიფომ, თუ ცვლილება მიღებული იქნება თავად ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, მას მოჰყვება მოლაპარაკების/კომპენსირების ვალდებულება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან (EU Acquis) დაახლოების ზოგადი ვალდებულება, თუმცა, ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, იმას რომ შეთანხმებაში ჩამოთვლილი ევროკავშირის სამართლებრივი აქტები საქართველომ სავალდებულოდ აღიარა ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლით. სწორედ ამიტომ, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც თუნდაც ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით იქნება შემოღებული, ჩაითვლება სამართლის ცვლილებად ხელშეკრულების მიზნებისთვის. ამ კონტექსტში, რა თქმა უნდა, არ არის რელევანტური ნორმატიული აქტების იერარქია და საერთაშორისო ხელშეკრულების უპირატესი ძალა შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით (რაზეც სამინისტრო თავის პასუხში მიუთითებდა EMC-ის), რადგან საკითხი არ შეეხება კონფლიქტს ან ურთიერთშეუსაბამობას საერთაშორისო ხელშეკრულებასა და კანონმდებლობას შორის

გარდა ამისა, დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც EMC-ის მიერ გამოქვეყნებულ შეფასებაშია ნათქვამი: „სამართლის ცვლილების უფრო კონკრეტულ შემთხვევას შეეხება ხელშეკრულების 4.3.2. გ პუნქტი, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება ელექტროენერგიის სისტემის ოპერირების ან/და ელექტროენერგიით ვაჭრობის წესები, მხარეებმა უნდა მოილაპარაკონ, რათა აღნიშნული ცვლილებები აისახოს ელექტროენერგიის რეალიზაციის პირობებში, ისე რომ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპანიის ეკონომიკური და ფინანსური პოზიცია შენარჩუნდეს. ამ მუხლთან დაკავშირებით დამატებით აღსანიშნავია, რომ სამართლის ცვლილების მთავრობის რისკად განსაზღვრის საერთაშორისოდ მიღებულ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ ცვლილების შესახებ ინვესტორს ინფორმაცია არ აქვს. ე.წ. სტაბილიზაციის დებულების (stabilization clause) არსიც იმაში მდგომარეობს, რომ იგი კომპანიისთვის წინასწარ განუჭვრეტელ, მოულოდნელ ხარჯს იწვევს, რომლის დაგეგმვა და გათვალისწინება მას ხელშეკრულების გაფორმებისას არ შეეძლო. აღსანიშნავია, რომ

საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის რეფორმა დიდი ხანია დაგეგმილია; ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული რეფორმა საქართველომ ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაერთიანების პირობების თანახმად უნდა განახორციელოს, ხოლო აღნიშნულ ორგანიზაციაში საქართველო 2017 წელს გაწევრიანდა“.

ამასთან, EMC-ის კრიტიკა თავისთავად ამ მუხლის ხელშეკრულებით გათვალისწინებას კი არ ეფუძნება არამედ იმას, რომ ნამახვანის ხელშეკრულება, სამწუხაროდ, სტაბილიზაციის მუხლის იმგვარ რედაქციას შეიცავს, რომელიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლებს მეტისმეტად აფართოებს.

ე.წ. პასუხისმგებლობის „ჩამკეტი მექანიზმები“, რაზეც სამინისტრო თავის პასუხში მიუთითებს, ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სათანადოდ „ჩაკეტვას“. კერძოდ, გადასახადების ცვლილებასთან დაკავშირებული კომპენსირების რეჟიმის (რომელიც სამართლის ცვლილების ერთ-ერთი სახეა) კომენტირებისას EMC შენიშნავს: „იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მართლაც სტრატეგიული და სახელმწიფო მნიშვნელობისაა და მისი განხორციელება შედის საჯარო ინტერესში (რაც ცალკე შეფასების საგანია), გადასახადების ზრდის რისკის დაზღვევა შესაძლებელია განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ. თუმცა, ზემოაღნიშნული დაშვებითაც კი, ნამახვანის ხელშეკრულების ჩანაწერი პრობლემურია შემდეგი მიზეზების გამო: ა) ხელშეკრულების 3.2.16 მუხლი გადასახადის ცვლილებას განსაზღვრავს „კომპენსირებად შემთხვევად“, რაც ნიშნავს, იმას, რომ სახელმწიფო არა მხოლოდ ვალდებულია, აანაზღაუროს შემცირებული შემოსავალი ან გაზრდილი ხარჯი, არამედ ასევე დამატებით „დანაკარგი“. დანაკარგი კი ხელშეკრულებით მაქსიმალურად ფართოდაა განმარტებული და, პირდაპირ ზიანთან ერთად, მოიცავს მიუღებელ შემოსავალს, მიუღებელ მოგებას და დაკარგულ შესაძლებლობასაც კი. სახელმწიფოს ფინანსური პასუხისმგებლობის ამგვარი გაფართოება კი მნიშვნელოვანი საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებისთვისაც უჩვეულოა. „ბ) მთავრობა ვალდებულია, კომპენსაცია გადაუხადოს არა მხოლოდ კომპანიას, არამედ პროექტის მონაწილეებსაც, პროექტის მონაწილე კი ხელშეკრულების მიხედვით არის კომპანიაც (აფილირებულ პირებთან ერთად), დამფინანსებლებიც და კომპანიის კონტრაქტორებიც. განსაკუთრებით პრობლემურია ამ დეფინიციაში კონტრაქტორების შემოყვანა: კომპანიამ შეიძლება უამრავი კონტრაქტორი დაიქირავოს სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად და, ხელშეკრულების მიხედვით, სახელმწიფოს ყველა მათგანის კომპენსირება მოუწევს“.

6. დასაქმება

სამინისტრომ საპასუხო განცხადებაში აღიარა, რომ ნამახვანი ჰესის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება კომპანიას საქართველოს მოქალაქეების დასაქმების მკაცრ ვალდებულებას არ აკისრებს, რაც ეწინააღმდეგება ხელისუფლების რიტორიკას ადგილობრივების დასაქმების მყარი გარანტიების შესახებ.

EMC-ის განცხადებასთან დაკავშირებით, სამინისტრო შენიშნავს, რომ ჩვენმიერ მოხმობილი დებულებები, თავის მხრივ მართალია, თუმცა იქვე ამატებს, რომ EMC-ის მიერ ვითარება სათანადოდ არ არის შეფასებული. სამინისტრო ამ „ვითარებაში“

გულისხმობს, რომ „საქართველოში კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობაა და საერთაშორისო ინვესტორების უმრავლესობა სარისკოდ მიიჩნევს ადგილობრივი მუშახელის დასაქმებასთან დაკავშირებით მყარი სახელშეკრულებო გარანტიების გაცემას.“

მაშინ, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ნამახვანი ჰესის მიერ მოტანილ სარგებელზე საუბრისას გამუდმებით აპელირებენ იმაზე, რომ პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიკეთე ადგილობრივების დასაქმებაა, რა თქმა უნდა, EMC-იმ საჭიროდ მიიჩნია, განემარტა, თუ რას ამბობს ამის შესახებ ინვესტორსა და მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება. ბუნებრივია, მოსახლეობას აქვს სრული უფლება იცოდეს, თუ როგორია კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულების რეალური შინაარსი და რა პირობების შემთხვევაში ევალება მას მოსახლეობის დასაქმება.

საგულისხმოა, რომ სამინისტრო ასევე მიგვითითებს კომპანიის „ბუნებრივ“ ინტერესზე ოპერირების ეტაპზე გადაამზადოს და დაასაქმოს ადგილობრივები, რაც უფრო ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე უცხოელი მუშახელის ჩამოყვანა. საინტერესოა, თუ ეს მართლაც ასეა, რატომ არ ითვალისწინებს ხელშეკრულება შესაბამის დებულებას, რომელიც კომპანიის ადგილობრივების გადამზადებას (თუნდაც მხოლოდ ოპერირების ეტაპზე) დაავალდებულებდა. ასეთ შემთხვევაში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც საქართველოს მოქალაქეების დასაქმებაა, რაზეც გამუდმებით საუბრობენ თავად ხელისუფლების წარმომადგენლები, კომპანიის „ბუნებრივ ინტერესზე“ დამოკიდებული არ იქნებოდა. დამატებით, აღსანიშნავია, რომ ეს „ბუნებრივი ინტერესიც“ მხოლოდ ოპერირების ფაზის კონტექსტშია ნახსენები და, როგორც ჩანს, პროექტის წინასამშენებლო და სამშენებლო ფაზების განმავლობაში ადგილობრივების დასაქმებას კომპანიის ბუნებრივი ინტერესიც არ შეუწყობს ხელს.

ხელშეკრულება რომ ამ კუთხით მართლაც არასაკმარის გარანტიებს შეიცავს, დადასტურდა ქალბატონი ნათია თურნავას 5 მარტს გაკეთებული კომენტარითაც, რომლითაც [განაცხადა](#), რომ მთავრობა არ გამორიცხავს პროექტში ცვლილებები განხორციელდეს, მათ შორის, ხეობის წინაშე ინვესტორის პასუხისმგებლობის კუთხით.

შეჯამება

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, ხელშეკრულება შეცავს სხვა არაერთ დაუბალანსებელ ჩანაწერსაც, რომლებთან დაკავშირებითაც სამინისტრო განმარტებას არ აკეთებს. მათ შორისაა, პოლიტიკური ფორს-მაჟორის სახელშეკრულებო რეგულირება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო არამხოლოდ არ თავისუფლდება პოლიტიკური ფორს-მაჟორის დროს ვალდებულების შესრულებისგან (მაგ., ელექტროენერგიის საფასურის შეუფერხებლად გადახდა), არამედ უფრო მეტიც, თუ კომპანიას ამ სახელმწიფოს კონტროლს მიღმა არსებული, გარემოებებით მიადგება ზიანი, მთავრობა ვალდებულია, კომპანიას ზიანიც აუნაზღაუროს. მეორე მხრივ, პოლიტიკური ფორს-მაჟორით გამოწვეული ვალდებულებების შეუსრულებლობა კომპანიას საპატიოდ ეთვლება. დაუბალანსებელია ხელშეკრულების შეწყვეტის რეჟიმიც, რაც გულისხმობს, რომ, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები პროექტის ირგვლივ და იმისდა მიუხედავად, ხელშეკრულებას

დაარღვევს მთავრობა თუ კომპანია, შეწყვეტის შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს.

ჩვენი შეფასებით, სამინისტრო ვერ ასაბუთებს და ვერ პასუხობს ჩვენს მიერ წარმოდგენილ დასკვნებსა და შესაბამის დასაბუთებას, თუმცა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამინისტროს მხრიდან თუნდაც დაგვიანებული მცდელობა პასუხები გასცეს საზოგადოებაში არსებულ ლეგიტიმურ შეკითხვებს. EMC-ის მიერ მომზადებული შეფასებაც, ფაქტებზე და დასაბუთებაზე დაფუძნებული ღია მსჯელობის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. ასევე, შემდგომი დისკუსიებისთვის აუცილებლად მიგვაჩნია სამინისტრომ წარმოადგინოს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს რომ აღნიშნული რისკების და საკითხების შეფასება სათანადოდ განხორციელდა ხელშეკრულების გაფორმებამდე. ამდენად, მოგუწოდებთ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაუყოვნებლივ გაასაჯაროს დოკუმენტაცია, რაც ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა მომზადებულიყო, მათ შორის:

- *პროექტის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი;*
- *იუსტიციის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს დასკვნები.*
- *ნამახვანი ჰესის პროექტის კონცეფცია და საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.*